

კინგის ქართული ენის ოლიმპიადის I ტური  
მე-4 კლასი

I სავარჯიშო. ( 30 ქულა ) ყურადღებით წაკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

ყვავი და მელა

ერთხელ ყვავმა ხორცის ნაჭერი იშოვა და ხის ტოტზე შემოჯდა. ეს რომ მელამ დაინახა, იფიქრა ამ ხორცის ნაჭერს ხელში ჩავიგდებო და ყვავს ქება დაუწყო: რა ლამაზი ხარ, ფრინველთ მეფობა ყველაზე მეტად შენ დაგმშვენდებოდა, იმ დალოცვილ ღმერთს შენთვის ხმაც რომ მოეცაო! ყვავმა შეიფერა, პირი დაალო, დაიჩხავლა და ხორცის ნაჭერი გაუვარდა. მელამ მიირბინა და ყვავს უთხრა:

— ჩემო ყვანჩალა, ღმერთს რომ შენთვის ჭკუაც მოემადლებინა, მაშინ მეფობაში ხელს აღარაფერი შეგიშლიდაო.

1. რა არის ნაწარმოების სათაური?  
ა. ყვავი და მელა  
ბ. მეფე ყვავი  
გ. ხორცის ნაჭერი
2. ნაწარმოების მოქმედი პირებია:  
ა. ყვავი  
ბ. ყვავი და მელა  
გ. მელა
3. რის შეჭმას აპირებდა ყვავი?  
ა. მელას  
ბ. მეფის  
გ. ხორცის
4. რა სურდა მელას?  
ა. ყვავის შეჭმა  
ბ. ხორცის ნაჭერი  
გ. მეფობა
5. რატომ აქებდა მელაკუდა ყვავს?  
ა. სურდა ყვანჩალას ხორცი გავარდნოდა.  
ბ. ყვავის ჩხავილი მოსწონდა.  
გ. ყვავის გამეფება უნდოდა.
6. რა მოეწონა ყვავს?  
ა. მელაკუდას შექება  
ბ. ბულბულის ხმა  
გ. არცერთი პასუხი არ არის სწორი
7. მელაკუდას აზრით, რატომ ვერ გახდებოდა ყვანჩალა ფრინველთა მეფე?  
ა. ყვავი ძალიან მშვიდი იყო  
ბ. ყვავს ხორცი უყვარდა  
გ. ყვავი არ იყო გონიერი
8. ფრინველთა მეფეს უწოდებენ:  
ა. ტოროლას  
ბ. ბულბულს  
გ. არწივს
9. ნაწარმოების მიხედვით, მელაკუდა არის:  
ა. კეთილი  
ბ. მატყუარა  
გ. ბეჯითი
10. ყვავი არის:  
ა. გარეული ფრინველი.  
ბ. შინაური ფრინველი.  
გ. წითელი ფერის ფრინველი.

11. „იანვარი“ ანუ:

ა. იგრიკა

ბ. ვარდობისთვე

გ. აპნისი

12. ზღაპრის რომელმა გმირმა დაკარგა ფეხსაცმელი?

ა. კომბლემ

ბ. კონკიამ

გ. ფიფქიამ

13. დაასრულეთ ანდაზა:

„ დღემეხვალე კაცსაო \_\_\_\_\_ .“

ა. თოვლი მოუვა კარსაო

ბ. საქმის კეთება არ უნდაო

გ. ზაფხული მოეპარაო

14. „ მე თუმცა ენა არა მაქვს,

მაგრამ როდი ვარ მუნჯი,

ვერ გაიმდიდრებს გონებას

ვინც არის ჩემი ურჩი.“

გამოცანის პასუხია:

ა. ვარსკვლავები

ბ. ჩიტუნები

გ. წიგნი

15. ქართველი საბავშვო მწერალია:

ა. ნოდარ დუმბაძე

ბ. ასტრიდ ლინდგრენი

გ. მარკ ტვენი